

მიგრაციის მართვის გაძლიერება საქართველოში” (ENIGMMA)

პროექტი “მიგრაციის მართვის გაძლიერება საქართველოში” (ENIGMMA) ერთ-ერთი შედეგია იმ მუდმივი წარმატებებისა, რომელსაც საქართველო აღწევს ევროკავშირი-საქართველოს პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების, ევროკავშირი-საქართველოს სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის, მობილურობის პარტნიორობისა და სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის ხელშეკრულებების განხორციელების პროცესში. პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ, აღოსავლეთ პარტნიორობის ინტეგრაციისა და თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში. პროექტი დაიწყო 2013 წლის დეკემბერში და იგი გაგრძელდება 2017 წლის ივნისამდე.

პროექტი, რომელსაც ერთობლივად წარმართავს ევროკომისიის დელეგაცია საქართველოში და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD), მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM) მჭიდრო თანამშრომლობით, მიზნად ისახავს საქართველოში მიგრაციის მართვის სისტემის გაძლიერებას, სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

ICMPD, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ექსპერტთა აქტიური დახმარებით, ითანამშრომლებს საქართველოს ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან შესაძლებლობების გაძლიერებისა და ინსტიტუციური რეფორმებისთვის მიგრაციის მართვის შემდეგ სფეროებში:

- ლეგალური მიგრაცია: შრომითი მიგრაციის, ცირკულარული მიგრაციის, დიასპორის ჩართვის, სავიზო პოლიტიკის და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების სტრატეგიების განვითარება
- ადამიანის ფუნდამენტური უფლებები: საზოგადოების ცნობიერების ზოგადი ამაღლება ადამიანის უფლებების, მონაცემთა დაცვის, საერთაშორისო დაცვის, არარეგულარულ მიგრაციასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებების, ტრეფიკინგის და საზღვრის მენეჯმენტის საკითხებში.
- საქართველოში მიგრაციის შესახებ ანალიტიკური შესაძლებლობებისა და ცოდნის დონის ამაღლება, განსაკუთრებით, სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ საკითხებზე, სამეცნიერო საზოგადოებასთან თანამშრომლობის ჩათვლით.
- მტკიცებულებაზე დაფუძნებული მიგრაციის პოლიტიკის სისტემის განვითარების მხარდაჭერა, საქართველოს სოციალ-ეკონომიკურ განვითარებაზე მიგრაციის ზემოქმედების დეტალური ანალიზის ჩათვლით.

- მიგრაციის შესახებ მონაცემთა ერთიანი ინფორმაციის და ანალიტიკური სისტემის განვითარების მხარდაჭერა, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან მჭიდრო თანამშრომლობით.
-

პროექტის სქემა:

